გლობალური დღის წესრიგი კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის

11 ძირითადი მოქმედება

21 დეკემბერი

Creative Industries
Policy & Evidence Centre
Led by **nesta**

In partnership with
BRITISH COUNCIL

"შემოქმედებითი ინდუტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრის (PEC) და საერთაშორისო საბჭოს შესახებ"

"შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრი მუშაობს რომ მხარი დაუჭიროს დიდი ბრიტანეთის შემოქმედებითი ინდუსტრიების ზრდას დამოუკიდებელი მტკიცებულებების და პოლიტიკის რჩევების მეშვეობით. შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრი (PEC), არის ბრიტანეთის მთავრობის ინდუსტრიული სტრატეგიის ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობს ნესტა და აფინანსებს ხელოვნების და ჰუმანიტარული კვლევის საბჭო. შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრი (PEC) აერთიანებს დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების კონსორციუმს (ბირმინგემი, კარდიფი, ედინბურგი, გლაზგო, ლანკასტერის უნივერსიტეტის სამუშაო ფონდი,ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა (LSE), მანჩესტერი, ნიუკასლი, სასექსი და ულსტერი). შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრი (PEC) მუშაობს ინდუსტრიის სხვადასხვა პარტნიორთან მათ შორის შემოქმედებით ბრიტანეთთან (Creative UK)."

"შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრის (PEC) საერთაშორისო საბჭო არის პოლიტიკის და შემოქმედებითი ეკონომიკის წამყვანი პრაქტიკოსების ქსელი მთელი მსოფლიოდან, რომელიც მოწვეულია ბრიტანეთის საბჭოს მიერ. ჯგუფი იზიარებს საერთაშორისო კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის შესახებ ცოდნას და კვლევის შესაძლებლობას და მოქმედებს, როგორც მნიშვნელოვანი მეგობარი შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის და მტკიცებულებების ცენტრის (PEC) საქმიანობის განხილვისა და საერთაშორისო პერსპექტივის უზრუნველყოფის კუთხით."

www.pec.ac.uk

ბრიტანეთის საბჭოს შესახებ

ბრიტანეთის საბჭო ამყარებს კავშირებს, ურთიერთგაგებას და ნდობას გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა ქვეყნებს შორის მთელს მსოფლიოში ხელოვნებისა და კულტურის, განათლებისა და ინგლისური ენის მეშვეობით.

ჩვენ ორი მიმართულებით ვმუშაობთ - ინდივიდუალურ პირებთან, რათა გარდავქმნათ მათი ცხოვრება და მთავრობებსა და პარტნიორებთან, რათა შთამბეჭდავი ცვლილება მოვახდინოთ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში და სარგებელი მოვუტანოთ მილიონობით ადამიანს მთელს მსოფლიოში.

ვეხმარებით ახალგაზრდებს შეიძინონ უნარ-ჩვევები, თვითრწმენა და კავშირები, რასაც ისინი ეძებენ იმისთვის, რომ მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და გახდნენ ძლიერი და ინკლუზიური საზოგადოების ნაწილი. მხარს ვუჭერთ მათ, რომ ისწავლონ ინგლისური ენა, მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება და მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული კვალიფიკაცია. ჩვენი აქტივობები ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით ხელს უწყობს შემოქმედებით გამოხატვას და გაცვლას და ავითარებს შემოქმედებით მეწარმეობას .

www.britishcouncil.org

"ეს პუბლიკაცია უნდა იყოს მოხსენიებული, როგორც: შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის საერთაშორისო საბჭო (2021), „გლობალური დღის წესრიგი კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის“, ლონდონი: ბრიტანეთის საბჭო და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრი."

Creative Industries
Policy & Evidence Centre
Led by **nesta**

In partnership with
BRITISH COUNCIL

წინასიტყვაობა

COVID-19-ის პანდემიამ დაგვანახა, როგორ ანათებს ადამიანის სული და შემოქმედებითი უნარები ყველაზე ბნელ საათებშიც კი. როდესაც მსოფლიო ცდილობს გამოვიდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეკონომიკური და კლიმატის ერთდროული კრიზისიდან, ცხოვრებაში ერთხელ გვაქვს შესაძლებლობა, გადავაფასოთ და შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების წესი და განვიხილოთ პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს როგორც მდგრადობას და საზოგადოების კეთილდღეობას, ასევე ეკონომიკურ ზრდას.

მთელი წლის განმავლობაში გაეროს ფოკუსიც მიმართული იყო შემოქმედებითი ეკონომიკის წვლილისკენ, რომელიც მას შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნებში და ხაზს უსვამს შემოქმედებითი ეკონომიკის პოტენციალს რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პლანეტის, ეკონომიკისა და საზოგადოების განკურნების პოსტპანდემიურ პროცესში.

"სწორედ ამ კონტექსტში, შემოქმედებითი ინდუსტრიის პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის (PEC) საერთაშორისო საბჭო გვთავაზობს ამ თერთმეტ სამოქმედო პუნქტს შემოქმედებითი სექტორის პოტენციალის ოპტიმიზაციისთვის, რათა დაეხმაროს ამჟამად არსებული გამოწვევების გადაჭრაში. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსგავსი საერთაშორისო ჯგუფი შეიკრიბა - მეწარმეები, ინვესტორები, პოლიტიკის შემქმნელები და აკადემიკოსები მთელი მსოფლიოდან - მათ გააერთიანეს შემოქმედებით ეკონომიკაში არსებული მრავალფეროვანი გამოცდილება, რათა შექმნან მომავლის დღის წესრიგი. მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს დღის წესრიგი ნამდვილად გლობალურია, რადგანაც მასში აღიარებულია, რომ ზოგიერთი ყველაზე ძლიერი და დინამიური იდეა და ყველაზე სწრაფი ზრდა კულტურის და შემოქმედებით სექტორებში გვხვდება გლობალურ სამხრეთში, მათ შორის არაფორმალურ მუშაკებს შორის ისეთ ურბანულ ადგილებში, რომელიც გადატვირთულია და ნაკლები რესურსი გააჩნია."

"მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული ფაქტისა, რომ შემოქმედებითი ეკონომიკა ხელს უწყობს გლობალურ კეთილდღეობას, აღნიშნავს კულტურულ გამორჩეულობას და მხარს უჭერს სოციალურ ერთობლიობას, როცა საქმე პოლიტიკის მოქმედებას ეხება, ის მაინც განიხილება, როგორც განცალკევებული. აღნიშნული თერთმეტი სამოქმედო პუნქტიდან უმეტესმა მათგანმა შეიძინა ღირებულება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში,განსაკუთრებით წარმოსახვითი და შთაგონების უნარის მქონე ადგილობრივ და მუნიციპალურ ლიდერებს შორის, თუმცაღა, ხშირად არ ხდება მათი გამოყენება. ჩვენი გზავნილი არის, რომ თუ ჩვენ გვინდა მივაღწიოთ სასწრაფო რეკონფიგურაციას, რომელიც მსოფლიოს სჭირდება, ეს იდეები უნდა იქცეს საჯარო პოლიტიკის მთავარ ნაწილად ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე."

მხარს ვუჭერთ **მდგრადი განვითარების მიზნებს**

1. შემოქმედებითი განათლება და უნარები

შემოქმედებითი ინდუსტრიის პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის (PEC) საბჭო მოუწოდებს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო მთავრობებს აღიარონ ხელოვნებისა და კულტურის მნიშვნელოვანი როლი ინდივიდუალური პირების შემოქმედებითი უნარების განვითარებაში განათლებისა და ტრენინგის ყველა დონეზე. ეს კი ხელს შეუწყობს, რომ მომავალ დასაქმებულ პირებს ჰქონდეთ შესაბამისი შემოქმედებითი უნარები, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მათ უკეთ მართონ ტექნოლოგიური ინოვაციებით გამოწვეული ცვლილებები და სწორად გამოიყენონ შესაძლებლობები რაც არსებობს ვირტუალური რეალობის, ეკომეგობრული დიზაინის და ხელოვნური ინტელექტის სფეროებში. ამის მიღწევა გულისხმობს ხელოვნებისა და კულტურის ინტეგრირებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნარებთან განათლებისა და ტრენინგის ყველა ასპექტში.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

2. შემოქმედებითი მეწარმეობა და ინოვაცია

საბჭო მოუწოდებს პოლიტიკის შემქმნელებს, აღიარონ ინოვაციური ბიზნეს მოდელების მნიშვნელობა, რომლებიც წარმოიქმნება კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია აღიარონ გამოწვევები, რომლის წინაშეც ისინი დგანან, მათ შორის დაფინანსების საჭიროება, რომელიც სძენს ღირებულებას შემოქმედებითი ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს (IPR) და ბიზნესის მხარდაჭერას, რომელიც ეხმარება მცირე შემოქმედებით ბიზნესებს სრულად ისარგებლონ ციფრული რევოლუციით. კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში თვითდასაქმებულთა მაღალი და მზარდი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მეტი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მეწარმეობის უნარების გაძლიერების ტრენინგს.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

3. შემოქმედებითი კარიერა, შტატგარეშე თანამშრომლები და არაფორმალური საარსებო წყარო

საბჭო მოუწოდებს პოლიტიკურ ორგანიზაციებს რომლებიც მხარს უჭერენ ღირსეულ სამუშაო პირობებს და კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში დასაქმებულთა სოციალურ დაცვას, ყურადღება გაამახვილონ სექტორში თვით-დასაქმებულთა, ხელშეკრულებით მომუშავე და არაფორმალურად დასაქმებულთა სიმრავლეზე. ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო სააგენტოებს და ეროვნულ მთავრობებს, შეაგროვონ უფრო ზუსტი მონაცემები შრომის ბაზრის შესახებ, რათა უზრუნველყონ ამ პირების სამართლიანი და ინკლუზიური წარმომადგენლობა პოლიტიკაში.

კერძოდ, ვითხოვთ არაფორმალური ეკონომიკის როლის აღიარებას ბევრ ქალაქში, განსაკუთრებით გლობალურ სამხრეთში. მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალური ეკონომიკა გულისხმობს შეზღუდული რესურსების, დაურეგულირებელი შრომის და ხშირად არარეგისტრირებული საწარმოების ფარგლებში მუშაობას, არაფორმალური შემოქმედებითი ეკონომიკა არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც მარგინალური გადარჩენის სტრატეგია და არც უნდა იყოს რომანტიზებული როგორც საზოგადოების პასუხი, რომელიც ათავისუფლებს სახელმწიფოს სათანადო პასუხისმგებლობებისგან.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

4. კვლევა და განვითარება კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში

საბჭო რეკომენდაციას უწევს გადაიხედოს კვლევისა და განვითარების (R&D) განმარტება, რომელიც გამოიყენება მთელ მსოფლიოში პოლიტიკის შემქმნელების მიერ, რათა ინოვაციებში ინვესტიციების წახალისების პოლიტიკა სათანადოდ მოიცავდეს ცოდნის სრულ სპექტრს, მათ შორის ხელოვნებას, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს და არა მხოლოდ მეცნიერებას და ტექნოლოგიას. კვლევისა და განვითარების (R&D) სისტემები, მათ შორის ოფიციალური კვლევისა და განვითარების (R&D) გამოკითხვები უნდა განახლდეს, რათა მოხდეს კვლევისა და განვითარების (R&D) როლის აღიარება სხვადასხვა სფეროში.

მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური კვლევა და განვითარება (R&D) - რაც კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში წარმოადგენს ინოვაციის ნიშანს- ასევე საჭიროა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

უფრო დეტალურად რომ ვთქვათ, საბჭო ითხოვს, რომ კვლევის და განვითარების (R&D) დაფინანსების შესაძლებლობები უფრო ეფექტური იყოს კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში და გამოკვლეულ იქნას ურთიერთმომგებიანი კავშირები სექტორებს შორის (მაგ. წარმოება და დიზაინი).

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:



5. კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიები და ციფრული ეკონომიკა

საბჭო მოუწოდებს საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკის შემქმნელებს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიები ჩართონ ახალი მარეგულირებელი ჩარჩოებისა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც მიზნად ისახავს მონაცემების და კონფიდენციალურობის საკითხის მოგვარებას, ინტერნეტ პლატფორმის რეგულირებას და ინტელექტუალური საკუთრების შექმნასა და დაცვას.

ჩვენ მათ ასევე მოვუწოდებთ უფრო დიდი ინვესტიცია განახორციელონ ციფრული უნარების განვითარებაში და კომპლექსურ ციფრულ ინფრასტრუქტურაში, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. უნდა მოხდეს იმის გაცნობიერება, რომ კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ახალი შენობები და სხვა ფიზიკური ინფრასტრუქტურა.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

6. კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიები და მდგრადი გარემო

საბჭო მოუწოდებს პოლიტიკის შემქმნელებს აღიარონ კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების წვლილი წრიულ ეკონომიკასა და ეკონომიკურ ზრდაში შედარებით მცირე ზეგავლენით რესურსებსა და ფიზიკურ გარემოზე და ამავე დროს გააცნობიერონ, რომ აუცილებელია მოქმედება მათი გავლენის შესამცირებლად. მაგალითად ისეთ სფეროებში, როგორიცაა დიზაინი, მათ შორის მოდის დიზაინი, რომლებიც არიან ინოვაციების ზენიტში, მაგრამ ასევე ამჟამად ძირითადი დამაბინძურებლებიც არიან. ეს ასევე ეხება ხელოვნების სხვადასხვა სფეროს და გასართობ აქტივობებს. პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა ჩართონ შემოქმედებითი პრაქტიკოსები კლიმატის ინიციატივებში, თუ მათ სურთ სრული სარგებელი მიიღონ კროს-სექტორული ტრენდებისგან, შემოქმედებით ბიზნესებსა და ისეთ სფეროებს შორის როგორებიცაა: ბიომრავალფეროვნება, ადგილობრივი საკვები, სერტიფიცირებული ეთიკური მოდა და ეკო-ტურიზმი.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

7. შემოქმედებითი ქალაქები და რეგიონული კლასტერები

საბჭო მოუწოდებს ეროვნულ და რეგიონულ მთავრობებს ინვესტიციები განახორციელონ არამხოლოდ მსხვილი ქალაქების კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში, არამედ განიხილონ მრავალი შესაძლებლობა, რომელიც არის პატარა, ადგილობრივ კლასტერებში. არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ მათ აქვთ პოტენციალი, საწყის ეტაპზე გახდნენ ზრდის ინოვაციური ძრავები და მოემსახურონ კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სპეციფიკურ ბაზარს გლობალურად, ამავდროულად მათ შეუძლიათ მოიტანონ ეკონომიკური მდგრადობა და გააძლიერონ რეგიონში მცხოვრები ჰიპერლოკალური თემების კუთვნილების განცდა.

ამ მიკრო კლასტერების უკეთ გასაგებად, ჩვენ ვთხოვთ პოლიტიკის შემქმნელებს, რომ სათემო ინიციატივები მოიცვან კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების მეფინგის პროცესში, მაგალითად, რეგიონული და ეროვნული შემოქმედებითი ქალაქების ინდექსებში.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

8. ალტერნატიული დაფინანსება კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში

საბჭო მოუწოდებს გლობალური პოლიტიკის შემქმნელებს, იმუშაონ ტრასტებთან და ფონდებთან, სტიმულის და გარანტიების განვითარების მიზნით, რათა წაახალისონ კერძო სექტორის ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, უნარ-ჩვევებში, ბაზრებსა და პლატფორმებში ზრდისა და თანასწორობის განვითარებისთვის და შემოქმედებით თემებს შორის კულტურული წარმოების ახალი ტიპების წახალისებისთვის. საერთაშორისო დონეზე ერთობლივი თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება ალტერნატიული ფინანსების მეტი წარმოსახვითი სტრუქტურების გენერირება და პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს გავლენის მქონე ინვესტორების მიერ ინვესტირებას გლობალურ შემოქმედებით ეკონომიკაში.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

9. სოციალური თანასწორობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში

საბჭო მხარს უჭერს საერთაშორისო სააგენტოების და ეროვნული პოლიტიკის შემქმნელების მუდმივ და მზარდ ძალისხმევას კულტურის და შემოქმედებითი პრაქტიკის, ენების, ტრადიციული ცოდნის, ხელოვნებისა და არტეფაქტების და მემკვიდრეობის ძეგლებისა და ტექსტების შესანარჩუნებლად.

გარდა ამისა, ჩვენ ვთავაზობთ კულტურათაშორისი გამოცდილების გლობალურ პოპულარიზაციას, რაც ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით მიიღწევა და რაც თემებს თანაგრძნობის ჩამოყალიბებაში ეხმარება საერთო აუდიტორიის მეშვეობით, კოლექტიური მნიშვნელობის შექმნით და უფრო ინკლუზიური, თანამგრძნობი საზოგადოების საშუალებით.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

10. მონაცემთა შეგროვებისა და გაზიარების საერთაშორისო სტანდარტები

საბჭოს მოწოდებაა შეიქმნას კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების და შემოქმედებითი პროფესიების კლასიფიკაციის გლობალური სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებათა ბაზის ზრდას საერთაშორისო მასშტაბით. ეს უნდა მოიცავდეს კოორდინირებულ ძალისხმევას საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (SIC) და სტანდარტული პროფესიული კლასიფიკაციის (SOC) კოდების გადასინჯვის უზრუნველსაყოფად, რაც ასახავს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცვალებად ბუნებას.

ჩვენ ასევე გირჩევთ საერთაშორისო საზომი სტანდარტების გადახედვას, რამდენადაც ეს კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებთან არის დაკავშირებული, რათა ხელი შეუწყოს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების მონაცემების უკეთ შეგროვებას საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაღიარებთ განსხვავებებს ეროვნულ საჭიროებებსა და სისტემებს შორის, გლობალური სამყარო მნიშვნელოვნად ვითარდება ციფრული სერვისების სტრიმინგისა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

11. საერთაშორისო თანამშრომლობა კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების მართვისთვის

საბჭოს მოწოდებაა დაწესდეს გლობალური სტანდარტები საერთაშორისო თანამშრომლობისთვის რაც ხელს შეუწყობს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას მთელს მსოფლიოში. უნდა დაიხვეწოს ინტელექტუალური საკუთრების (IPR) კანონი, ინტერნეტის რეგულაციები, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რათა იყოს თანმიმდევრული, ინკლუზიური, სამართლიანი და ორმხრივად მომგებიანი როგორც ინდუსტრიისთვის, ასევე მთავრობისთვის.

ეს მოქმედება დაკავშირებულია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან:

შეჯამება

"გლობალური კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების (CCIs) საჭიროებებზე ორიენტირებული ორწლიანი დისკურსიდან გამომდინარე, შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის (PEC) საერთაშორისო საბჭოს თერთმეტი ქმედება მოითხოვს პოლიტიკის მრავალი დამკვიდრებული სფეროს გადახედვას, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. ეს დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ განვმარტავთ კვლევისა და განვითარების დაფინანსებას, როგორ ვანიჭებთ პრიორიტეტს მონაცემთა შეგროვებას თვითდასაქმებულების და არაფორმალური ეკონომიკის შესახებ და როგორ ვუსვამთ ხაზს თუ რა სოციალური გავლენა აქვს დაფინანსების ინიციატივებს. თუმცა, ამ დღის წესრიგით არ მთავრდება ყველაფერი: ახლა საჭიროა საერთაშორისო პოლიტიკის ლიდერებმა აღნიშნული პრინციპები მეინსტრიმად აქციონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვდგავართ არა მხოლოდ შემოქმედებითი თემების დაკარგვის რისკის ქვეშ მთელს მსოფლიოში, არამედ ვკარგავთ უფრო ფართო შესაძლებლობას ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური საკითხების გადასაჭრელად, დაწყებული სიმდიდრის გადანაწილებით კლიმატის ცვლილებით დასრულებული. ჩვენ მოვუწოდებთ პოლიტიკის შემქმნელებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიყენონ ის იმპულსი, რომელიც შექმნა გაერომ 2021 წლის „შემოქმედებითი ეკონომიკის საერთაშორისო წელი მდგრადი განვითარებისთვის“ გამოცხადებით. პანდემიამ გააძლიერა კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების ღირებულება აუდიტორიისა და პრაქტიკოსებისთვის მთელ მსოფლიოში. თამამი ქმედებებით მთავრობებს შეუძლიათ შემოქმედებითი ინდუსტრიების ძალა თავიანთი თემების, ეკონომიკებისა და მათი საერთაშორისო პარტნიორობების სასარგებლოდ გამოიყენონ. მოქმედების დროა."

ხელმომწერები

შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის (PEC) საერთაშორისო საბჭოს წევრები

ავრილ ჯოფი

ავრილი არის ეკონომიკის სოციოლოგი, რომელიც მუშაობს როგორც აკადემიური ასევე პრაქტიკული მიმართულებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კულტურა ქალაქურ ცხოვრებაში, კულტურა და კულტურის ეკონომიკა, სამართლიანობა საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობაში და კულტურის პრაქტიკოსთა უფლებები და სტატუსი, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო სააგენტოებთან (ILO, UNESCO, UNCTAD), აფრიკის ორგანოებთან (აფრიკის კავშირი) და აფრიკის მთავრობებთან. ავრილი არის ვიტსის ხელოვნების სკოლის კულტურის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის ასპირანტურის კოორდინატორი. ის არის იუნესკოს კულტურის პოლიტიკისა და მმართველობის ექსპერტთა პანელის და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების კვლევის ალიანსის (ICRRA) აქტიური წევრი.

ქვეყნები: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სუბსაჰარული აფრიკა.

ბერნდ ფესელი

ბერნდ ფესელმა თავისი კარიერა ხელოვნების ბაზარზე დაიწყო, 1997 წელს გახდა ევროპის გალერეების ასოციაციის მმართველი დირექტორი. იგი ასევე მუშაობდა გერმანიის ხელოვნების საბჭოს სპიკერად. 2003 წელს იყო შემოქმედებითი ინდუსტრიების პირველი ეროვნული კონფერენციის ინიციატორი ბერლინში და 2007 წელს იყო გერმანიის შემოქმედებითი ინდუსტრიების ეროვნული ინიციატივის ერთ-ერთი დამფუძნებელი; შემდეგ მუშაობდა ფრიც პლეიტგენის და პროფესორ დიტერ გორნის ვიცე დირექტორად ევროპის კულტურის დედაქალაქ რურში. 2010 წლიდან იყო დორტმუნდის შემოქმედებითი ეკონომიკის ევროპული ცენტრის უფროსი მრჩეველი. 2016 წლიდან, არის ევროპის შემოქმედებითი ბიზნეს ქსელის დირექტორი როტერდამში, რომელიც ხელს უწყობს მთელ ევროპაში 8 მილიონი დაინტერესებული მხარის ინტერესებს კულტურის და შემოქმედებით სექტორებში. 2020 წელს ბერნდ ფესელი დაინიშნა ჰორიზონტ ევროპის პროგრამული კომიტეტის ექსპერტად. ის არის ჰამბურგის ხელოვნებისა და მედია მენეჯმენტის ინსტიტუტის ლექტორი.

ქვეყანა: გერმანია.

დანიარ ამანალიევი

დანიარი არის შემოქმედებითი მეწარმე და შემოქმედებითი ეკონომიკის ენთუზიასტი. ის არის ოლოლოს შემოქმედებითი ჰაბების, ჯონ გალტის ბიზნეს აქსელერატორის და ოლოლოს შემოქმედებითი გრძელვადიანი ფონდის თანადამფუძნებელი და ბიზნეს მენეჯერი. დანიარი არის Creative Central Asia Forum-ის მმართველი კომიტეტის წევრი, Creative Central Asia Network-ის თანადამფუძნებელი, ყირგიზეთის შემოქმედებითი ინდუსტრიების ასოციაციის თანადამფუძნებელი და თავმჯდომარე.

ქვეყანა: ყირგიზეთი

დიანა მარსელა რეი ვასკესი

დიანა არის პოლიტოლოგი და ლათინური ამერიკის კვლევების დოქტორი. ის არის ექსპერტი შემოქმედებითი ეკონომიკისა და ციფრული ეკონომიკის სფეროში და იუნესკოს კულტურული სატელიტური ანგარიშების გლობალური სტანდარტის პროექტის თანაავტორი. მან თავისი წვლილი შეიტანა კულტურული სტატისტიკის, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში. ის მუშაობდა ისეთ საერთაშორისო სააგენტოებში, როგორიცაა Inter-American Development Bank, UN Women, UNESCO, CAB და CERLALC.

ქვეყნები: ანდების და ცენტრალური ამერიკის ქვეყნები.

დვინიტა ლარასატი

ტიტა არის პროდუქტის დიზაინერი და ლექტორი/ მკვლევარი Institut Teknologi Bandung (ITB)-ში , იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის ბანდუნგის მთავარი ფოკუსი და ინდონეზიის შემოქმედებითი ქალაქების ქსელის (ICCN) სტრატეგიული პარტნიორობის მოადგილე. ის არის Bandung Creative City Forum (BCCF)-ის და Bandung Creative Economy კომიტეტის თავმჯდომარე, დასავლეთ ჯავის შემოქმედებითი ეკონომიკისა და ინოვაციების კომიტეტის (KREASI) მრჩეველი, ინდონეზიის ახალგაზრდა მეცნიერების აკადემიის (ALMI) და ინდონეზიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (AIPI) და ინდონეზიის კლიმატის რეალითი პროექტის (TCRP) კლიმატის ლიდერი. ის ქმნის გრაფიკულ დღიურს და არის CAB-ის, დამოუკიდებელი გამომცემლობის თანადამფუძნებელი.

ქვეყანა: ინდონეზია

ედნა დოს სანტოს-დუიზენბერგი

ედნა არის ეკონომისტი, რომელსაც ჰქონდა საერთაშორისო კარიერა გაეროში. მან შექმნა და იყო შემოქმედებითი ეკონომიკის პროგრამის ხელმძღვანელი გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციაზე (2004-2012). მან მოამზადა გაეროს შემოქმედებითი ეკონომიკის ანგარიშები 2008 და 2010 წლებში, ასევე UNCTAD-ის გლობალური მონაცემთა ბაზა შემოქმედებითი ეკონომიკის შესახებ. ის საკონსულტაციო მომსახურებას უწევს მთავრობებსა და ინსტიტუტებს და თანამშრომლობს ყველა კონტინენტის აკადემიურ წრეებთან.

ქვეყნები: ბრაზილია და შვეიცარია

ჯორჯ გაჩარა

ჯორჯი არის სოციალური მეწარმე, ხელოვნების მენეჯერი და მმართველი პარტნიორი HEVA Fund LLP-ში. ჯორჯი აღმოსავლეთ აფრიკაში ხელმძღვანელობს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებასა და ბიზნეს კვლევას და ასევე ხელმძღვანელობს გრძელვადიანი ეკონომიკური და კულტურული ღირებულების შექმნას ამ დინამიურ სექტორში.

ქვეყნები: კენია, რუანდა, უგანდა, ტანზანია, ეთიოპია

ჯაირაჯ მაშრუ

ჯაი არის ინოვაციების დირექტორი ციფრული სტრატეგიისა და დიზაინის გუნდთან ერთად Salesforce.com-ზე, რომელიც მდებარეობს ინდოეთში, მუმბაიში. მისმა შემოქმედებითმა სწრაფვამ მიიყვანა იქამდე, რომ ის ასწავლიდა დიზაინს, ინოვაციას და მეწარმეობას და იყო სტარტაპების მენტორი. მან ასევე შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზრდის სტრატეგიები ინდოეთში, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ბიზნესისა და საჯარო პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა განათლების, მდგრადობისა და შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარებას.

ქვეყანა: ინდოეთი

ჯონ ნიუბიგინი

ჯონი არის ლონდონის მერის ელჩი შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე.

ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი

ლორა კალანანი

ლორა არის Upstart Co-Lab-ის დამფუძნებელი პარტნიორი. Upstart Co-Lab არღვევს შემოქმედებითი სფეროს დაფინანსების შესახებ ტრადიციულ შეხედულებას და გრძელვადიან ინვესტიციებს (Impact Investment) შემოქმედებით ეკონომიკასთან აკავშირებს. 2015 წელს, Upstart Co-Lab-ის დაწყებამდე, ლორა იყო ფედერალური სააგენტოს, ხელოვნების ეროვნული ფონდის თავმჯდომარის უფროსი მოადგილე; McKinsey & Company-ის სოციალური სექტორის ოფისის კონსულტანტი და როკფელერის ფონდის ასოცირებული დირექტორი.

ქვეყანა: შეერთებული შტატები

ლეანდრო ვალიატი

ლეანდრომ თავისი კარიერა ბრაზილიაში დაიწყო, როგორც პროფესორმა და პოლიტიკის მრჩეველმა შემოქმედებით ინდუსტრიებსა და კულტურის ეკონომიკაში, შექმნა და ხელმძღვანელობდა ყველაზე წარმომადგენლობით, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკაზე ორიენტირებულ აკადემიურ ცენტრს. გასულ წლებში, ის ესპანეთის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ინსტიტუტებში აკადემიურ პოზიციებზე და საბჭოს წევრად მუშაობდა. მისი კვლევითი ინტერესებია კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, კულტურის პოლიტიკა და ხელოვნების მრავალგანზომილებიანი გავლენა.

ქვეყნები: ბრაზილია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი

მარსელ კრაუსი

მარსელი ხელს უწყობს სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების ინოვაციურ პოტენციალს და ინტერდისციპლინურ ინოვაციას ჩარლზის უნივერსიტეტში. ხელოვნებისა და თეატრის დატოვების შემდეგ, მარსელი მუშაობდა ინოვაციური გადაცემის სისტემებისა და შემოქმედებითი ეკონომიკის სფეროში ლაიფციგის ფრაუნჰოფერის ინსტიტუტში, გერმანიაში და ჩეხეთის რესპუბლიკის ტექნოლოგიების სააგენტოში.

ქვეყანა: ჩეხეთი

ომარ ნაგატი

ომარი არის პრაქტიკოსი არქიტექტორი და ურბანული დამგეგმავი, CLUSTER-ის თანადამფუძნებელი, რომელიც არის ურბანული დიზაინისა და კვლევის პლატფორმა კაიროს ცენტრში. ის მუშაობდა პედაგოგად ბევრ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებში. ბოლო პერიოდში კი იყო მოწვეული პროფესორი შეფილდის უნივერსიტეტში, დიდ ბრიტანეთში.

ქვეყანა: ეგვიპტე

"შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის (PEC) და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლები"

ბრიტანეთის საბჭო

ქეროლაინ მიბი

ქეროლაინ მიბი არის ბრიტანეთის საბჭოს სამხატვრო ქსელის დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ხელოვნებასა და შემოქმედებით ინდუსტრიებში შესრულებული ნამუშევრების გლობალური პორტფოლიოს ზედამხედველობაზე და ორგანიზაციის გლობალური შემოქმედებითი ეკონომიკის პროგრამის ჩამოყალიბებაზე. 2013 წელს, სანამ ბრიტანეთის საბჭოს შეუერთდებოდა, ქეროლაინი მუშაობდა სატელევიზიო ინდუსტრიაში. ის ასევე არის ლონდონის Studio 3 Arts-ის ნდობით აღჭურვილი პირი.

სკინდერ ჰუნდალი MBE (ბრიტანეთის იმპერიის უმაღლესი ორდენის მფლობელი)

სკინდერი არის ბრიტანეთის საბჭოს ხელოვნების დირექტორი, რომელიც ზედამხედველობს ხელოვნების მრავალ ფორმას და ხელოვნების ძირითად საქმიანობას დიდი ბრიტანეთისა და მსოფლიოს ოთხ ქვეყანაში. ის ასევე არის Artist News-ის ბორდის დირექტორი.მანამ იყო New Art Exchange-ის დირექტორი და Nottingham Arts Mela-ის თანა-მხატვრული დირექტორი. ის ახლახანს გავიდა პენსიაზე, როგორც Tom Dale Dance Company-ის ბორდის წევრი.

შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრი (PEC)

ელიზა ისტონი

ელიზა არის შემოქმედებითი ინდუსტრიის პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის (PEC) პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი. ცენტრი იმართება ინოვაციების ფონდის ნესტას მიერ. ის არის კემბრიჯის პოლიტიკის სტიპენდიანტი.

ჰასან ბახში

ჰასანი არის შემოქმედებითი ინდუსტრიის პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრის დირექტორი დიდ ბრიტანეთში. ის არის Darbar Arts-ისა და Art UK-ის ბორდის წევრი და დიდი ბრიტანეთის მთავრობის შემოქმედებითი ინდუსტრიების საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ბრიტანეთის საბჭო

@BritishCouncil
www.britishcouncil.org

გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ორგანიზაცია კულტურული ურთიერთობებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვის.
რეგისტრირებულია საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსით: 209131 (ინგლისსა და უელსში) SC037733 (შოტლანდიაში).

Creative Industries
Policy & Evidence Centre
Led by **nesta**

შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრი (PEC),
ვიქტორიას სანაპირო 58, ლონდონი EC4Y 0DS

+44 (0)20 7438 2500
enquiries@pec.ac.uk
@CreativePEC
www.pec.ac.uk

შემოქმედებითი ინდუსტრიის პოლიტიკისა და მტკიცებულების ცენტრს ხელმძღვანელობს ნესტა. ნესტა რეგისტრირებულია
როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია ინგლისსა და უელსში კომპანიის ნომრით 7706036 და საქველმოქმედო ნომრით 1144091.
რეგისტრირებულია როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია შოტლანდიაში ნომრით SCO42833. რეგისტრირებული ოფისი: ვიქტორიას
სანაპირო 58, ლონდონი EC4Y 0DS

BY NC SA